საქართველოს სახალხო დამცველი
Public Defender of Georgia

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

10. 12. 2013
№ 854/01

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გაახლებთ 10 დეკემბრის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კოდექსის დებულებების შესრულების თაობაზე.

დანართი: 2 ფ.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი

საქართველო, თბილისი 0179, ნ. რამიშვილის ქ. 6, ტელ.: (+995 32) 2913814/15; ფაქსი: (+995 32) 2913841
ვებგვერდი: www.ombudsman.ge, ელ.ფოსტა: info@ombudsman.ge

6 N. Ramishvili St., Tbilisi 0179, Georgia, Tel: (+995 32) 2913814/15, Fax: (+995 32) 2913841
website: www.ombudsman.ge, e-mail: info@ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თავის დებულებების შესრულების თაობაზე

ა) 2013 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 79 განცხადება. ძირითადად, მოთხოვნილი ინფორმაცია იყო საჯარო ხასიათის, ამდენად, განმცხადებელთა თხოვნა დაკმაყოფილდა და დადგენილ ვადებში გაიცა საჯარო ინფორმაცია. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 9 (ცხრა) განცხადება. რვა შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია არ არსებობდა (არ არის დაცული) სახალხო დამცველის აპარატში,
ხოლო 1 მათგანით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

1.სალომე ვარდიაშვილი – მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტის უფროსი. გადაწყვეტილებათა რაოდენობა (71) მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ (63), დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (8) გადაწყვეტილება.
2.მაია მხატვრიშვილი – მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. გადაწყვეტილებათა რაოდენობა (6) მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ (5), დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (1) გადაწყვეტილება.
3).მიხეილ მინდაძე– განცხადების დასაშვებობაზე პასუხისმგებელი პირი.
გადაწყვეტილებათა რაოდენობა (2) მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ (2), დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (0) გადაწყვეტილება.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზა სახალხო დამცველის აპარატში იწარმოება 2011 წლის პირველი აგვისტოდან. აგრეთვე ივსება სარეგისტრაციო წიგნი (ელექტრონული ვერსია).

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელი არ ყოფილა დადებული.

ე) საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის 30 ოქტომბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია".

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება სახალხო დამცველის აპარატში ასეთი ხარჯების არარსებობის გამო.